საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის საწყობიდან აღჭურვილობის გატანა-დაბრუნების წესები

დამტკიცებულია საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის გამგეობის მიერ 2023 წლის 01 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი #7/23).

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის (შემდგომში - ფედერაცია) საკუთრებაში არსებული აღჭურვილობის აღრიცხვიანობის, სათანადოდ შენახვისა და გაცემული აღჭურვილობის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

1) აღჭურვილობა ინახება ფედერაციის საწყობში.
2) საწყობში საჭურველის შენახვას, აღრიცხვას, გატანას და დაბრუნებას ხელმძღვანელობს შესაბამისი პასუხისმგებლობის პირი - ლოჯისტიკისა და ფედერაციის სპორტული ინვენტარისა და სხვა მატერიალური ქონების მართვის მენეჯერი (შემდგომში - ლოჯისტიკის მენეჯერი).
3) საწყობიდან აღჭურვილობის გაცემას და ჩაბარებას აწარმოებს მხოლოდ ლოჯისტიკის მენეჯერი.
4) საწყობში უცხო პირების შესვლა არ დაიშვება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ლოჯისტიკის მენეჯერის უშუალო მეთვალყურეობით.
5) საწყობიდან აღჭურვილობა გაიცემა მხოლოდ ფედერაციის ექსპედიციებისთვის, ვარჯიშებისა თუ მისი სხვა ღონისძიებებისთვის, ფედერაციის პრეზიდენტის თანხმობით.
6) აღჭურვილობის გაცემა ხდება კონკრეტული ექსპედიციის/ღონისძიების ხელმძღვანელის სათანადო წერილობითი მომართვის საფუძველზე.
7) ექსპედიციის/ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ წერილობითი მომართვა აღჭურვილობის საჭიროებისა და გატანის შესახებ კეთდება ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე, ექსპედიციის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 დღით ადრე.
8) მომართვა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:
   - რომელი ექსპედიციისათვის/ღონისძიებისთვის არის საჭირო აღჭურვილობა;
   - აღჭურვილობის ჩამონათვალი;
   - რა ვადაში ხდება აღჭურვილობის დაბრუნება;
   - აღჭურვილობის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.
9) აღჭურვილობა გაიცემა მხოლოდ სათანადო გამოცდილებისა და მომზადების მქონე კვალიფიცირებულ პირებზე.
10) აღჭურვილობის გაცემის დროს დგება დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ყველა ნივთი. დოკუმენტი დამოწმდება ფედერაციის ბეჭდით და გამცემი და გამტანი პირის ხელმოწერით.

11) დოკუმენტზე ასევე მითითებული იქნება საჭურველის ფედერაციაში დაბრუნების თარიღი.

12) აღჭურვილობის გამტანი და მოსარგებლე პირები ვალდებულნი არიან სათანადოდ გაუფრთხილდნენ აღჭურვილობას.

13) დაბრუნებისას ყველა ნივთი მოწმდება დაზიანებასა და სისუფთავეზე. აუცილებელია აღჭურვილობა იყოს გაწმენდილი და მშრალი, ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც იყო გატანისას.

14) თუ აღჭურვილობის დაზიანება ან დაკარგვა გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით, დაკარგული ან/და დაზიანებული აღჭურვილობის მფლობელი ვალდებულია წერილობით აღწეროს და დაასაბუთოს ეს გარემოებები. აღნიშნული ფაქტები ასევე დამოწმებულ უნდა იქნას ექსპედიციის/ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ და შეძლებისდაგვარად - ფოტო/ვიდეო მტკიცებულებებით.

15) თუ აღჭურვილობის გამტანი პირი არ დააბრუნებს, ან დააბრუნებს დაზიანებულ აღჭურვილობას, რაც საპატიო ობიექტური გარემოებებით არ არის გამოწვეული, ასეთი პირი ვალდებულია აანაზღაუროს აღჭურვილობის ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფედერაცია მასზე აღარ გასცემს აღჭურვილობას. ასეთ შემთხვევაში, ფედერაცია ასევე უფლებამოსილია მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს ზიანის ასანაზღაურებლად.

16) ცვეთადი ნივთები (თოკები, ფეხსაცმელი, სპეც. ტანსაცმელი და სხვა) ექვემდებარება დაბრუნებას საწყობში.

17) ექსპედიციის/ღონისძიების ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს ფედერაციას იმ შემთხვევების შესახებ, რომელმაც შესაძლოა საფრთხის შემცველი გახადოს თოკით, კარაბინით ან/და სხვა აღჭურვილობით შემდგომი სარგებლობა.

ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა
გაერთიანებული ფედერაციის“
პრეზიდენტი

ირაკლი ჟღენტი